



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იზაბელა

იზაბელა (Isabel)(22. IV. 1451 - 26. XI. 1504), კასტილიისა (1474-იდან) და გაერთიანებული ესპანეთის დედოფალი 1479-იდან. გაატარა რიგი რეფორმები, რ-თა შედეგადაც შექმნა ცენტრალიზებული მმართველობის სისტემა. 1492 ესპანეთიდან საბოლოოდ განდევნა არაბები.

ი. ხელმძღვანელობდა ინტენსიურ დიპლ. ურთიერთობებს. მისი მმართველობის დროს საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა ესპანეთთან. ეგვიპტეში საქართველოს დიპლ. მისიის (1493-94) ხელმძღვანელი ნილოსი იერუსალიმში შეხვდა ესპ. ელჩებს, რ-ებისგანაც ქართველებმა ი-ს მიერ არაბთა დამარცხების ამბავი შეიტყვეს. მოლაპარაკების შემდეგ ესპ. ელჩები თბილისში ქართლის მეფე კონსტანტინე II-ს ეწვივნენ. გადაწყდა ესპანეთში დიპლ. მისიის გაგზავნა. ესპ. სამეფო კარზე ქართველ დიპლომატები 1495 წარსდგნენ. მათ ი-ს კონსტანტინე II-ის წერილიც გადასცეს, სადაც იგი დედოფალს სწერდა: „გევედრებით დაუყოვნებლივ პირდაპირ კონსტანტინეპოლზე გამოილაშქროთ და... მეც პირადად შვილებითურთ და მთელი ლაშქრით,... შენთან ერთად საბრძოლველად წამოსასვლელად მზად ვიქნები. ხოლო სიყვარულის ნიშნად ამ მცირე ძღვენს გაახლებთ: იემდის 19 ოქროქსოვილს, 40 მისხალს ობოლ მარგალიტს და 17 ვეფხვის ტყავს“. ამ ელჩობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ლიტ.: მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე ე., ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმონერის შესახებ, «ცისკარი», 1986, №3; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

